

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	10-35



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მესაკუთრეებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“-ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებულ მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ შეიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას,

- აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნიკოლოზ ჭოჭუა

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
31 მარტი 2025 წელი

- აუდიტორისთვის წინასწარგაზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნიკოლოზ ჭოჭუა

შპს "KPMG Georgia"

თბილისი, საქართველო

31 მარტი 2025 წელს



შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ოდენობები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში)

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	9	617,496	634,418
არამატერიალური აქტივები		656	698
შეზღუდული ფულადი სახსრები	11	30,178	24,882
სხვა აქტივები		389	605
გრძელვადიანი აქტივები		648,719	660,603
 მარაგები	16	6,476	5,926
გადახდილი ავანსები	15	2,212	2,488
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	4,659	6,492
წმინდა საგადასახადო აქტივი		443	390
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	3,494	4,861
მოკლევადიანი აქტივები		17,284	20,157
სულ აქტივები		666,003	680,760
 კაპიტალი	12		
განთავსებული კაპიტალი		503,406	-
საწესდებო კაპიტალი		-	297,078
დამატებით გადახდილი კაპიტალი		-	206,328
დაგროვილი ზარალი		(567,419)	(530,216)
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვები		24,926	24,453
სულ კაპიტალი		(39,087)	(2,357)
 ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	14	694,679	672,764
სხვა ვალდებულებები		-	105
გრძელვადიანი ვალდებულებები		694,679	672,869
 სესხები და კრედიტები	14	10,153	9,267
სხვა ვალდებულებები		258	981
მოკლევადიანი ვალდებულებები		10,411	10,248
სულ ვალდებულებები		705,090	683,117
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		666,003	680,760

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 მარტს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

სატიშ ბჰაატ
აღმასრულებელი დირექტორი

ეკატერინე დანელია
ფინანსური დირექტორი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების.


შპს „აგარისწყალი გორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ოდენობები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში)

000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	9	617,496	634,418
არამატერიალური აქტივები		656	698
შეზღუდული ფულადი სახსრები	11	30,178	24,882
სხვა აქტივები		389	605
გრძელვადიანი აქტივები		648,719	660,603
მარაგები	16	6,476	5,926
გადახდილი ავანსები	15	2,212	2,488
საეპკრო და სხვა მოთხოვნები	5	4,659	6,492
წმინდა საგადასახადო აქტივი		443	390
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	3,494	4,861
მოკლევადიანი აქტივები		17,284	20,157
სულ აქტივები		666,003	680,760
კაპიტალი	12		
განთავსებული კაპიტალი		503,406	-
საწესდებო კაპიტალი		-	297,078
დამატებით გადახდილი კაპიტალი		-	206,328
დაგროვილი ზარალი		(567,419)	(530,216)
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვები		24,926	24,453
სულ კაპიტალი		(39,087)	(2,357)
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	14	694,679	672,764
სხვა ვალდებულებები		-	105
გრძელვადიანი ვალდებულებები		694,679	672,869
სესხები და კრედიტები	14	10,153	9,267
სხვა ვალდებულებები		258	981
მოკლევადიანი ვალდებულებები		10,411	10,248
სულ ვალდებულებები		705,090	683,117
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		666,003	680,760

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 მარტს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


საკიშვილ ბპატ
აღმასრულებელი დირექტორი


ვაკტანგ დანელია
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ოდენობები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში)

‘000 ლარი	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	5	74,619	74,411
საოპერაციო ხარჯები	6	(35,212)	(34,811)
სხვა შემოსავალი		-	528
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(8,361)	(8,806)
სხვა ხარჯები		(215)	(297)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		30,831	31,025
ფინანსური შემოსავალი		2,089	1,914
ფინანსური ხარჯები		(35,424)	(32,330)
წმინდა ფინანსური ხარჯები	8	(33,335)	(30,416)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების (ზარალი)/აღდგენა	9	(34,700)	97,665
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(37,204)	98,274
მოგების გადასახადი		-	-
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრის შემდეგ		(37,204)	98,274
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც არ იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში შემდგომ პერიოდებში			
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა		473	1,981
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი		473	1,981
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(36,731)	100,255

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“
2023 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ოდენობები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	უცხოური ვალუტის კონვერტაციის ს რეზერვები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	297,078	206,328	-	(628,490)	22,472	(102,612)
წლის მოგება	-	-	-	98,274	-	98,274
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	1,981	1,981
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	98,274	1,981	100,255
წლის განმავლობაში	-	-	-	98,274	1,981	100,255
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	297,078	206,328	-	(530,216)	24,453	(2,357)
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	297,078	206,328	-	(530,216)	24,453	(2,357)
კაპიტალის რეკლასიფიკაცია	(297,078)	(206,328)	503,406	-	-	-
წლის ზარალი	-	-	-	(37,204)	-	(37,204)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	473	473
მთლიანი სრული ზარალი	-	-	-	(37,204)	473	(36,731)
წლის განმავლობაში	-	-	-	(37,204)	473	(36,731)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	-	503,406	(567,419)	24,926	(39,087)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების.

(ოდენობები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში)

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(37,204)	98,274
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	13,986	11,245
ძირითადი საშუალებების გაუფასურების (ზარალი)/აღდგენა	9	34,700	(97,665)
გადახდილი ავანსების ჩამოწერა		-	77
წმინდა ფინანსური ხარჯები	8	33,335	30,416
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		(97)	(77)
		44,720	42,270
ცვლილებები:			
მარაგებში		(550)	(1,202)
გადახდილ ავანსებში		265	680
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		1,833	(2,750)
წმინდა საგადასახადო აქტივში		(53)	695
სხვა აქტივებში		216	(12)
სხვა ვალდებულებებში		(879)	295
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები პროცენტის გადახდამდე		45,552	39,976
გადახდილი პროცენტი	14	(34,256)	(31,534)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		11,296	8,442
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		2,090	1,902
ძირითადი საშუალებების შეძენა		(4,647)	(2,959)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(70)	(62)
წმინდა გადაცემა შეზღუდულ ფულად სახსრებში		(4,385)	(3,240)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(7,012)	(4,359)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
ძირითადი (senior) სესხის დაფარვა	14	(8,265)	(6,962)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(8,265)	(6,962)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებში		(3,981)	(2,879)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 1 იანვარს		4,861	7,904
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		2,614	(164)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 31 დეკემბერს		3,494	4,861

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. კომპანიის ბიზნეს მოდელი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზარზე, რომელიც განვითარებად ბაზარს წარმოადგენს და საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები კვლავაც განაგრძობენ განვითარებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (შემდგომში, „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც ეს განსაზღვრულია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და იგი 2011 წლის 8 ივნისს დაარსდა და მდებარეობს საქართველოში. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404401438.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, ბაგრატიონის ქ. 129, მე-3 სართული.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა განახლებადი ენერგიის გამომუშავება. კომპანია ამუშავებს 187 მეგავატი სიმძლავრის მქონე შუახევის ჰიდროელექტროსადგურის (ჰესი) კასკადს, რომელიც ყოველწლიურად გამოიმუშავებს დაახლოებით 450 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას, რაც შეადგენს ქვეყნის მთლიანი ელექტროენერგიის 4-5%-ს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მთლიანად ეკუთვნის „Adjaristsqali Netherlands B.V.“-ს („ABV“).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „Adjaristsqali Netherlands B.V.“-ს ერთობლივად იყო ფლობილი და კონტროლირებული „Tata Power International PTE Limited (TPIPL)“-ისა (50%) და „Clean Energy Invest AS“-ის (CEI, „Norsk Mineral AS“-ის (96.7%) შვილობილი კომპანია) - (50%) მიერ (ერთად მოხსენიებული, როგორც „სპონსორები“).

კომპანიის კაპიტალის დაფინანსება პროექტისთვის მოდის „TPIPL“-სა და „CEI“-დან, ხოლო ვალის დაფინანსება მოდის ძირითადი კრედიტორებისგან - IFC (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი), EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) და ADB (აზიის განვითარების ბანკი).

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

(b) ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით. 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, 37,204 ათასი ლარის ოდენობით წმინდა ზარალის მიუხედავად, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება რჩება შესაბამისი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის შემდეგი მიზეზების გამო:

- ამ პერიოდის წმინდა ზარალი ძირითადად გამოწვეული იყო არაფულადი აქტივების გაუფასურებით. აღნიშნული გაუფასურება იყო უნაღდო დანახარჯი და არ ჰქონია გავლენა კომპანიის საოპერაციო შედეგებზე ან ფულადი ნაკადების გენერირების უნარზე.
- აღრიცხული ზარალის მიუხედავად, კომპანიამ განაგრძო დადებითი საოპერაციო მოგების გამოიმუშავება და სტაბილური საოპერაციო ფულადი ნაკადების შენარჩუნება, რაც ადასტურებს მის უნარს დააკმაყოფილოს მისი მიმდინარე ვალდებულებები, მათი დაფარვის ვადის დადგომისას.
- კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებებს, რაც მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობაზე მიუთითებს.
- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, კომპანიამ დროულად შეასრულა თავისი ვალდებულებები ძირითადი კრედიტორების მიმართ და შესაბამისობაში იყო შესაბამის ფინანსურ კოვენანტებთან.

აღნიშნულის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას ექნება საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად და ბიზნეს საქმიანობის საოპერაციო ხარჯების დასაფარად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დადასტურების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი (“აშშ დოლარი”). მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ოპერირებს საქართველოში და ხარჯების ნაწილს ქართულ ლარში (“ლარში”) გასწევს, აშშ დოლარი არის ვალუტა, რომლითაც განისაზღვრება მისი საქონლისა და მომსახურების გაყიდვის ფასები. მეორადი ინდიკატორები ასევე მხარს უჭერენ აშშ დოლარის, როგორც სამუშაო ვალუტის განსაზღვრას, რადგან საფინანსო ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ ვალუტაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის.

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია აშშ დოლარიდან ლარში წლის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით. საწესდებო კაპიტალი და დამატებით გადახდილი კაპიტალი წარმოდგენილია მათი პირვანდელი ღირებულებით ლარში. შემოსავლები და ხარჯები კონვერტირებულია ლარში გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით.

შედეგად მიღებული კონვერტაციის სხვაობა აღრიცხულია პირდაპირ კაპიტალში უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვში. კონვერტაციის მიხედვისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი გაცვლითი კურსები:

– 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068
– 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. მსჯელობებისა და შეფასებების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, განხილულია შენიშვნაში 9 (b) - კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე ტესტირება.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა განმარტებისა და შეფასების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნაში:

- შენიშვნა 18 (a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა განახლებადი ენერგიის გამომუშავება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გაფორმებული ჰქონდა ორი ხელშეკრულება სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე“ („ესკო“) ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებით: ერთი შუახევი ჰესისთვის და ერთი სხალთა ჰესისთვის.

2022 წლის მაისიდან, კომპანიამ დაიწყო ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში და ელექტროენერგიის ადგილობრივად, პირდაპირი გაყიდვის ხელშეკრულებების საშუალებით გაყიდვა.

ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი განისაზღვრება ყოველთვიურად აბონენტებზე გაყიდული ელექტროენერგიის ოდენობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება ესკო-ს მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღების აქტით და საექსპორტო გაყიდვებისთვის ყოველკვირეული ინვოისებით.

2023 წელს კორექტირებული სიმძლავრის შესყიდვის ხელშეკრულების (PPA) მიხედვით, კომპანიას შეეძლო განეხორციელებინა ელექტროენერგიის ექსპორტი 4 თვის განმავლობაში 2023 წელს, დამატებული კიდევ ერთი თვე მარეგულირებელთან შეთანხმების საფუძველზე. 2024 წლიდან კომპანიას ექნება ცხრა მოქნილი თვე საექსპორტო გაყიდვებისთვის. კორექტირებული PPA ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას უფლება აქვს მიჰყიდოს მთელი თავისი პროდუქცია ესკო-ს მომდევნო 10 წლის განმავლობაში (2035 წლის აპრილამდე) შეთანხმებული ტარიფით.

ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 74,619 ათას ლარს 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (2023: 74,411 ათასი ლარი).

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ შემოსავალზე.

	2024	2023
ესკო-ზე განხორციელებული გაყიდვები	61,874	50,339
საექსპორტო გაყიდვები	12,686	15,092
პირდაპირი ადგილობრივი გაყიდვები	-	8,783
საბალანსო საბაზრო გაყიდვები	59	197
	74,619	74,411

(a) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა

	2024	2023
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
საქართველო	61,933	59,319
თურქეთი	12,686	15,092
	74,619	74,411

(b) სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურების მიღებაზე. თუ კომპანია თავის კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან ანაზღაურების ვადის დადგომამდე, მაშინ აღიარდება სახელშეკრულებო აქტივი გამომუშავებული ანაზღაურებისთვის, რომელიც არის პირობითი. კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები, ვინაიდან შესრულება და უფლება ანაზღაურებაზე დროის მოკლე პერიოდში დგება და ყველა უფლება ანაზღაურებაზე არის უპირობო.

კომპანიამ აღიარა შემდეგი შემოსავალთან დაკავშირებული მოთხოვნები 31 დეკემბრისთვის:

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	4,659	6,492
	4,659	6,492

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებასთან, მათი მოკლე დაფარვის ვადების გამო. სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებულია ლარში. ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მიმდინარე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არარსებითი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

(c) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს საქონელსა ან მომსახურებაზე.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით:

მომსახურების სახეობა	შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები
შემოსავალი	შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილდება,
ელექტროენერგია	როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება და
ს რეალიზაციიდან	მიღებულია საბითუმო მომხმარებლების მიერ.
	ინვოისი გამოიწერება ყოველთვიურად.
	გადაცემული ელექტროენერგიის ანაზღაურება
	ჩვეულებრივ ხდება საანგარიშგებო თვის
	მომდევნო თვის 28 დღის განმავლობაში. 1
	კვტ/სთ-ის ფასი განისაზღვრება PPA
	ხელშეკრულებით, ან ექსპორტთან და პირდაპირ
	ადგილობრივ გაყიდვებთან დაკავშირებით,
	მომხმარებლებთან გაფორმებული შესაბამისი
	მოკლევადიანი ხელშეკრულებების პირობებით.

შემოსავლის აღიარების პოლიტიკა
შემოსავალი აღიარდება დროის
განმავლობაში, მომსახურების გაწევასთან
ერთად, ყოველთვიურად საბითუმო
მომხმარებლებისთვის გადაცემული
ელექტროენერგიის მოცულობის
საფუძველზე. გადაცემული
ელექტროენერგია იზომება კომპანიის
ჰიდროელექტროსადგურების
საქართველოს ელექტრო ქსელთან
დამაკავშირებელ საზომ პუნქტებზე
დამონტაჟებული მრიცხველებით.

შემოსავალი ფასდება ხელშეკრულებით შეთანხმებული გარიგების ფასით. ანაზღაურება გადასახდელია ელექტროენერგიის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ცვეთა	13,484	10,797
ქონების გადასახადი	6,102	5,766
გადაცემის და რეგულირების საფასური	5,985	5,194
დაზღვევის ხარჯები	5,489	6,911
პერსონალის ხარჯები	2,402	3,017
ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები	759	2,500
სხვა	991	627
	35,212	34,811

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
პერსონალის ხარჯები	2,123	1,877
პროფესიული მომსახურების ხარჯი	2,060	2,137
იურიდიული ხარჯები	821	1,008
სოციალური დანახარჯები	908	879
ცვეთა და ამორტიზაცია	502	448
სხვა	1,947	2,457
სულ	8,361	8,806

8. წმინდა ფინანსური ხარჯები

	2024	2023
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ საბანკო ანგარიშებზე	2,089	1,902
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	-	12
ფინანსური შემოსავალი	2,089	1,914
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(34,020)	(32,330)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	(1,404)	-
ფინანსური ხარჯი	(35,424)	(32,330)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	(33,335)	(30,416)

9. ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

	დასრულებული აქტივები	გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	შენობა- ნაგებობები	მიწა	სამოქალაქო სტრუქტურები	ელექტრონული და მექანიკური აღჭურვილობა	კომუნიკაციები და სხვა აღჭურვილობა	ელექტროგადამცემი ხაზი	სხვა	სულ
თვითღირებულება										
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	164	21	78,645	15,648	959,791	194,031	4,385	13,841	3,902	1,270,428
შესყიდვები	173	696	160	8	252	627	2	143	898	2,959
ჩამოწერა		(73)	-	-	-	(2)	-	-	(2)	(77)
გადაცემები	(75)	-	958	42	(87)	2,126	(3)	(1,996)	(965)	(0)
ვალუტაში კონვერტაციის გავლენა	(1)	(0)	(363)	(73)	(4,476)	(905)	(20)	(65)	(18)	(5,921)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	261	644	79,400	15,625	955,480	195,877	4,364	11,923	3,815	1,267,389
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	261	644	79,400	15,625	955,480	195,877	4,364	11,923	3,815	1,267,389
შესყიდვები	229	463	1	-	2,067	443	1	1,203	281	4,688
გადაცემები	(261)	-	-	-	-	-	-	261	-	-
გასვლები	-	(646)	(1)	-	-	(58)	(1)	-	(3)	(709)
ვალუტაში კონვერტაციის გავლენა	6	-	3,466	682	41,802	8,562	190	585	180	55,473
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	235	461	82,866	16,307	999,349	204,824	4,554	13,972	4,273	1,326,841
ცვეთა და გაუფასურება										
2023 წლის 1 იანვარს	-	-	(44,806)	(10,535)	(537,288)	(115,663)	(3,514)	(8,602)	(2,385)	(722,793)
წლის ცვეთა	-	-	(710)	-	(5,878)	(3,743)	(397)	(173)	(317)	(11,218)
გადაცემები	-	-	(919)	13	4	(1,277)	1	1,953	225	-
გაუფასურების აღდგენა	-	-	5,888	934	76,044	13,722	86	951	40	97,665
ვალუტაში კონვერტაციის გავლენა	-	-	209	49	2,511	539	16	40	11	3,375
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	-	(40,338)	(9,539)	(464,607)	(106,422)	(3,808)	(5,831)	(2,426)	(632,971)
2024 წლის 1 იანვარს	-	-	(40,338)	(9,539)	(464,607)	(106,422)	(3,808)	(5,831)	(2,426)	(632,971)
წლის ცვეთა	-	-	(894)	-	(7,044)	(4,523)	(479)	(228)	(513)	(13,681)
გაუფასურების ზარალი	-	-	(2,080)	(341)	(27,118)	(4,763)	(4)	(360)	(34)	(34,700)
ვალუტაში კონვერტაციის გავლენა	-	-	(1,786)	(416)	(20,467)	(4,767)	(179)	(257)	(121)	(27,993)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	-	(45,098)	(10,296)	(519,236)	(120,475)	(4,470)	(6,676)	(3,094)	(709,345)
2023 წლის 1 იანვარს	164	21	33,839	5,113	422,503	78,368	871	5,239	1,517	547,635
2023 წლის 31 დეკემბერს	261	644	39,062	6,086	490,873	89,455	556	6,092	1,389	634,418
2024 წლის 31 დეკემბერს	235	461	37,768	6,011	480,113	84,349	84	7,296	1,179	617,496

(a) უზრუნველყოფა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 617,496 ათასი ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები (2023 წლის 31 დეკემბერი: 634,418 ათასი ლარი) დაგირავებულია ძირითად კრედიტორებთან - EBRD, ADB და IFC - გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში.

(b) კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე ტესტირება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ კომპანიის არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე დაბალია.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ გაანალიზა როგორც გარე, ასევე შიდა გაუფასურების მაჩვენებლები, ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“-ს მიხედვით და დაასკვნა, რომ არსებობს გაუფასურების მინიშნება გაზრდილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამო, საექსპორტო გაყიდვებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოძინების შემცირებასთან ერთად, რასაც ადასტურებს შეფასების თარიღისთვის ბაზარზე არსებული პირობები.

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ, ხელმძღვანელობამ ხელახლა შეაფასა ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულებები და დაადგინა, რომ მათი ანაზღაურებადი ღირებულება შეადგენს 617,496 ათას ლარს, რაც ჩამორჩება საბალანსო ღირებულებას, 652,196 ათას ლარს. შედეგად, აღიარდა 34,700 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი მოგებაში-ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება დაფუძნებული იყო მის გამოყენებით ღირებულებაზე, რომელიც განისაზღვრება ძირითადი საშუალებების უწყვეტი მოხმარებიდან წარმოშობილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულ იქნა შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- გამოყენების ღირებულების შეფასება განისაზღვრა 9.28%-იანი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (2023: 9.17%). მოდელი მგრძნობიარეა WACC-ის მიმართ (წარმოდგენილია ქვემოთ (b) სექციაში).
- 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, გამოყენების ღირებულების შეფასებისას, ხელმძღვანელობამ შეაფასა ელექტროენერგიის წარმოების მომავალი მოცულობა იმ დონეზე, რომელიც შეესაბამება გრძელვადიან საშუალო დონეს, როგორც შემოთავაზებულია ჰიდროლოგიური ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებით. PPA ხელშეკრულებების ვადის განმავლობაში, ხელმძღვანელობა იყენებდა PPA ტარიფებს PPA გაყიდვებიდან პროგნოზირებული შემოსავლის ოდენობის შესაფასებლად. PPA-ს ხელშეკრულების შემდგომი პერიოდებისთვის, ხელმძღვანელობამ გამოიყენა ტარიფი PPA ტარიფის დონეზე, გაზრდილი 2%-იანი წლიური ზრდის განაკვეთით, რაც შეესაბამება აშშ-ს გრძელვადიანი ინფლაციის პროგნოზებს. აღნიშნული დაშვება არ შეცვლილა 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ.
- 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ ხელახლა მიმოიხილა მომავალი საექსპორტო გაყიდვების მოცულობის პროგნოზები, 2022-2024 წლებში დაფიქსირებული ფაქტობრივი საექსპორტო მოცულობების გათვალისწინების მიზნით. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, გამოყენების ღირებულების შეფასებისას, საექსპორტო გაყიდვების მოცულობა შეფასდა როგორც 31%-ით მეტი 2024-2027 წლებში და 64%-ით მეტი 2028 და შემდგომ წლებში, 2022-2023 წლების საშუალო ისტორიული გაყიდვების მოცულობებთან შედარებით. აღნიშნული დაშვება, უპირველეს ყოვლისა, დაფუძნებული იყო PPA ხელშეკრულებაში 2023 წელს განხორციელებულ ცვლილებებზე (შენიშვნა 5), რომელთა მიხედვითაც შემოღებულ იქნა მოქნილი ცხრათვიანი საექსპორტო გაყიდვების პერიოდი, 2024 წლიდან. PPA ხელშეკრულების ცვლილებების მიუხედავად, 2024 წელს დაფიქსირდა საექსპორტო გაყიდვების ფაქტობრივი მოცულობის 18%-იანი კლება 2023 წელთან შედარებით, რამაც გავლენა იქონია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების გამომანგარიშებისას გამოყენებული საექსპორტო გაყიდვების მოცულობის დაშვებაზე. განახლებული დაშვება შეესაბამება 2022-2024 წლებში დაფიქსირებულ ფაქტობრივ შედეგებთან მთლიანი შეფასებული პერიოდის განმავლობაში და შეესაბამება PPA ხელშეკრულებით დადგენილ, დაშვებულ საექსპორტო პერიოდებზე მოქმედ შეზღუდვებს.

- როგორც 2023, ისე 2024 წლისთვის, გაყიდვების ფასებსა და გადაცემის ხარჯებთან დაკავშირებული დაშვებები მომდევნო 5 წლის განმავლობაში დაფუძნებული იყო თურქეთის ელექტროენერგიის ბაზრის კვლევაზე, რომელიც მომზადებული იყო დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ და მოგვიანებით გაიზარდა 2%-ით, რაც შეესაბამება აშშ-ს ინფლაციის პროგნოზებს.

ძირითადი დაშვებები, რომელთა მიმართაც გაუფასურებაზე ტესტირება არის ყველაზე მგრძნობიარე, მოიცავს დისკონტირების განაკვეთს და დაშვებას საექსპორტო გაყიდვებთან დაკავშირებით (მოცულობები და ფასები):

- საექსპორტო გაყიდვების პროგნოზირებული მოცულობის 50%-იანი შემცირება შეამცირებდა ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად ღირებულებას 1,1%-ით (6,950 ათასი ლარი), გაუფასურების ზარალის შესაბამისი ზრდით მოგებაში ან ზარალში 2024 წლისთვის.
- გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის 1%-იანი ზრდა შეამცირებდა ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად ღირებულებას 12%-ით (73,167 ათასი ლარი), გაუფასურების ზარალის შესაბამისი ზრდით მოგებაში ან ზარალში 2024 წლისთვის.

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	3,494	4,861
სულ	3,494	4,861

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშებს ქართულ და უცხოურ კომერციულ ბანკებში. ისინი გამოიმუშავენ პროცენტს, წლიურად 0%-5%-მდე. საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 588 ათასი ლარი 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის განმავლობაში (2023: 533 ათასი ლარი). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდა, როგორც არარსებითი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-18 შენიშვნაში.

11. შეზღუდული ფულადი სახსრები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, 30,178 ათასი ლარი (2023: 24,882 ათასი ლარი) იქნა განთავსებული A რეიტინგის მქონე (Fitch) უცხოურ ბანკში სესხის მომსახურების რეზერვის ანგარიშზე, რომელიც შექმნილია სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისად, კომპანიის სესხებზე მომავალი გადახდების დაფარვის მიზნით. სასესხო შეთანხმებების პირობების მიხედვით, კომპანია ვალდებულია შეავსოს სესხის მომსახურების რეზერვის ანგარიში ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრულ ოდენობამდე - 15 მილიონ აშშ დოლარამდე. კომპანიის შესაძლებლობა გაანაღდოს თანხები სესხის მომსახურების რეზერვის ანგარიშიდან, შეზღუდულია საბანკო ანგარიშის ხელშეკრულების პირობებით, კომპანიის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ვალდებულებების დაკმაყოფილების (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არის საკმარისი ფულადი სახსრები ხელმისაწვდომი კომპანიის სხვა საბანკო ანგარიშებზე) ან 15 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ნაშთების სხვა ანგარიშებზე გადარიცხვის მიზნით.

12. კაპიტალი

(a) კაპიტალი

კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის წესდებაში.

2022 წლის 1 იანვრიდან მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი ამოქმედდა. ახალ კანონს შემოაქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის რეგულირება, განთავსებული კაპიტალის და დამატებითი შენატანებით შექმნილი კაპიტალის ვადების დადგენით. ახალი კანონის მიხედვით, 2024 წელს კომპანიის მესაკუთრეებმა მიიღეს გადაწყვეტილება კაპიტალის (რომელიც ადრე „საწესდებო კაპიტალის“ სახით იყო აღრიცხული) და დამატებითი შენატანების (რომელიც ადრე „დამატებით გადახდილი კაპიტალის“ სახით იყო აღრიცხული) „განთავსებულ კაპიტალში“ ხელახალი განაწილების შესახებ, რომელიც 503,406 ათასი ლარით განისაზღვრა.

განთავსებული კაპიტალის მესაკუთრეებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან კომპანიის კრებებზე ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

(b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება კომპანიის მიერ გამომუშავებული მოგებით. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ აღრიცხა 567,419 ათასი ლარის ოდენობით დაგროვილი ზარალები (2023 წლის 31 დეკემბერი: 530,216 ათასი ლარი). 2024 და 2023 წლებში, კომპანიას არ გამოუცხადებია და არ გადაუხდია დივიდენდები.

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით.

კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

14. სესხები და კრედიტები

მოცემულ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით ფასდება. დამატებითი ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-18 შენიშვნაში.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან	10,153	9,267
	10,153	9,267
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან	694,679	672,764
	694,679	672,764
	704,832	682,031

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

უზრუნველყოფილი საბანკო სესხები:	ვალუტა	დაფარვის წელი	საბალანსო ღირებულებები	
			31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
EBRD ფიქსირებულგანაკვეთიანი ტრანშები	აშშ დოლარი	2034	185,722	179,674
EBRD მცოცავი განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	67186	64,972
ADB ტრანშა A, ფიქსირებულგანაკვეთიანი ტრანშები	აშშ დოლარი	2034	178,684	172,891
ADB ტრანშა A, მცოცავი განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	32,266	31,283
ADB ტრანშა B, ფიქსირებულგანაკვეთიანი ტრანშები	აშშ დოლარი	2034	43,095	41,760
IFC ფიქსირებულგანაკვეთიანი ტრანშები	აშშ დოლარი	2034	145,469	140,715
IFC მცოცავი განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	52,410	50,736
სულ პროცენტიანი ვალდებულებები			704,832	682,031

(b) უზრუნველყოფა

კომპანიის ყველა აქტივი დაგირავებულია ძირითად კრედიტორებთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში.

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

სესხები და კრედიტები	სესხები და კრედიტები	
	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	682,031	691,441
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან		
სესხების და კრედიტების დაფარვა	(8,265)	(6,962)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(8,265)	(6,962)
უცხოური ვალუტის კონვერტაციის გავლენა	31,302	(3,244)
სხვა ცვლილებები		
ვალდებულებებთან დაკავშირებული		
საპროცენტო ხარჯი	34,020	32,330
გადახდილი პროცენტი	(34,256)	(31,534)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	(236)	795
ნაშთი 31 დეკემბერს	704,832	682,031

(d) სამართლიანი ღირებულებები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, სესხების სამართლიანი ღირებულება 588,594 ათასი ლარით განისაზღვრა (2023: 532,491 ათასი ლარი), რომელიც განსაზღვრულია მესამე დონის შემოსავლის მეთოდის შეფასების ტექნიკის გამოყენებით, სესხების ვადებისა და ვალუტის შესაბამისი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მცოცავი განაკვეთის მქონე ტრანშების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(e) შესაბამისობა შემზღუდველ კოვენანტებთან

კომპანიის უზრუნველყოფილი საბანკო სესხები ექვემდებარება სხვადასხვა ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს. შემდეგი კოვენანტები უნდა შესრულდეს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში:

- ისტორიული სესხის მომსახურების კოეფიციენტის შენარჩუნება 1.1:1 - საერთო პირობების ხელშეკრულება, ნაწილი 5.01 (r)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია აკმაყოფილებდა ყველა კოვენანტს და მოელის, რომ კვლავ დააკმაყოფილებს მათ საანგარიშგებო თარიღიდან შემდეგი 12 თვის განმავლობაში. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის უზრუნველყოფილი საბანკო სესხები (გარდა ხელშეკრულების მიხედვით, საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში დასაფარი ნაშთებისა) კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი.

15. გადახდილი ავანსები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, გადახდილი ავანსები მოიცავდა 1,127 ათასი ლარის ოდენობით წინასწარ გადახდილ დაზღვევის ხარჯს (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,635 ათასი ლარი). სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ქონების დაზიანების, ბიზნესის შეწყვეტის, სტიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული ზარალის, ტერორიზმის ან დივერსიული საქმიანობის და მესამე მხარის პასუხისმგებლობის სადაზღვევო დაფარვას.

16. მარაგები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, მარაგების ნაშთი მოიცავს 3,579 ათასი ლარის (2023 წლის 31 დეკემბერი: 3,449 ათასი ლარი) ღირებულების სათადარიგო ნაწილებს, რომლებიც საჭიროა ჰესების შეკეთებისა და ტექნიკური მხარდაჭერისთვის, ასევე 2,897 ათასი ლარის ოდენობით სხვა მარაგებს (2023: 2,477 ათასი ლარი).

17. პირობითი ვალდებულებები

(a) სასამართლო დავა

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (მოსარჩელე) შუახევი-ახალციხის გზის გარკვეული მონაკვეთის გზის დაზიანებისთვის 7 მილიონი ლარის მოთხოვნით სარჩელი შეიტანა. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასა“ და შპს „AGE Batum Co.“-ს შორის სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულებით (2013 წლის 17 ივნისი) „AGE“ პასუხისმგებელი იყო ნებართვების მიღებასა და გზის მოვლაზე. შესაბამისად, აჭარისწყალი ჯორჯია დაცულია AGE-ს საგარანტიო წერილით, რაც ამცირებს ფინანსურ რისკს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოითხოვა, რომ „AGE“ დაემატოს მოპასუხის სახით „AGL“-თან ერთად. ორივემ, „AGE“-მ და „AGL“-მა უპასუხეს სარჩელს. „AGL“ ამტკიცებს, რომ „AGE“ უნდა იყოს ერთადერთი მოპასუხე.

AGL-მა და AGE-მ წარადგინეს საჭირო დოკუმენტები და პირველი მოსმენა გაიმართა 2020 წლის აპრილში. მოსმენები რამდენჯერმე გადაიდო ჯერ პანდემიის გამო, შემდეგ კი „AGL“-ის ზეგავლენის ფარგლებს გარეთ არსებული სხვადასხვა მიზეზების გამო. ბოლო წლების განმავლობაში ჩატარდა რამდენიმე მოსამზადებელი და არასაბოლოო მოსმენა, რომელთაგან უკანასკნელი 2024 წლის ნოემბერში ჩატარდა. მთავარი მოსმენა შედგა 2025 წლის 30 იანვარს, მაგრამ რაიმე არსებით განვითარებას ადგილი არ ჰქონია და არ განახლებულა ან შეცვლილა AGL-ის მოლოდინები ამ საქმესთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საჩივარი არ არის დასაბუთებული და რომ კომპანიას აქვს საკმარისი სამართლებრივი საფუძველი სასამართლო მოსმენებზე მათი პოზიციის გასამყარებლად.

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2023 წელს, საგადასახადო ორგანოებმა წამოიწყეს დავა 988 ათასი ლარის ოდენობით ნაკლებად გადახდილი გადასახადის თაობაზე (ჯარიმების ჩათვლით) 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. მოთხოვნა გასაჩივრებულია შემოსავლების სამსახურში და საქმე განხილვაშია. სადავო თანხა შემცირდა 753 ათას ლარამდე, მაგრამ „AGL“ არ ეთანხმება შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებას.

ხელმძღვანელობის შეფასებით, არსებობს ეკონომიკური სარგებლის გადინების გონივრული ალბათობა, თუმცა ამ დროისთვის საგადასახადო დავის შედეგის პროგნოზირება გონივრული რწმუნებით შეუძლებელია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო გადაწყვეტილება კომპანიას დამატებით გადასახადებს ან ჯარიმებს დაუწესებს, დანახარჯებს სრულად აანაზღაურებენ მესაკუთრეები.

18. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების (გარდა სესხებისა და კრედიტებისა, იხ. შენიშვნა 14) სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებებს არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 18(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 18(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 18(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

დირექტორთა საბჭოს აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს მესაკუთრეებს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

დირექტორთა საბჭო, ორი ქვეკომიტეტის, აუდიტის კომიტეტის და მმართველი კომიტეტის დახმარებით, ზედამხედველობას უწევს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობას და ამოწმებს რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობება კომპანიის მოთხოვნებიდან და საბანკო ნაშთებიდან. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, აღიარებული ფინანსური აქტივებისთვის და აუდიარებული ვალდებულებებისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები ბანკებში, მათ შორის შეზღუდული ფულადი სახსრები	33,672	29,743
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,659	6,492
აღიარებული ფინანსური აქტივები	38,331	36,235

საბანკო ნაშთები

კომპანია მართავს მის საკრედიტო რისკს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების ძირითადი ნაწილის საქართველოს (რეიტინგი BB-, Fitch-ის მიერ შეფასებული) და საზღვარგარეთის (რეიტინგი A, Fitch-ის მიერ შეფასებული) ცნობილ ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც განთავსებულია მისი ფულადი სახსრები. კომპანია არ მოელის, რომ აღნიშნული კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას, შესაბამისად მიიჩნევს, რომ კომპანია არ არის არსებითად დაქვემდებარებული ფულადი სახსრებიდან და მათი ექვივალენტებიდან წარმოშობილ საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე ინდივიდუალური მახასიათებლები მოქმედებს. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მისი მომხმარებლის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიისა და ქვეყნის დეფოლტის რისკი რომელშიც ოპერირებს კლიენტი.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია არ არის დაქვემდებარებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებულ არსებით საკრედიტო რისკს, რადგან იგი წარმოადგენს ესკო-სგან მისაღებ ფინანსურ აქტივებს - რომელსაც საქართველოს მთავრობა აკონტროლებს. საქართველოს სუვერენული რეიტინგი არის BB- (Fitch). ხელმძღვანელობა ახორციელებს სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის მონიტორინგს ინდივიდუალურად ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონდა ვადაგადაცილებული ფინანსური აქტივები.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შემდგომი დაგეგმვით იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია საოპერაციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებს 2020 წლიდან გამოიმუშავებს. კომპანიის უმსხვილესი მომხმარებელია ესკო, რომელიც საქართველოს მთავრობას ეკუთვნის. შესაბამისად, მისი კრედიტუნარიანობის ან კომპანიის მიმართ ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობის შემცირების ძალიან დაბალი ალბათობა არსებობს. 2022-2024 წლებში კომპანიამ ასევე გაყიდა ელექტროენერგია ექსპორტზე, თურქეთში. კომპანიის ძირითადი ვალდებულებები შედგება ძირითადი კრედიტორებისგან აღებული სესხებისგან და ჰიდროლოგიიდან და კომპანიის მიერ ელექტროენერგიის წარმოების შესაძლებლობიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს პროცენტის გადახდა, როგორც ეს წინა წლებში მოხდა. ამ რისკის შესამცირებლად, ძირითად კრედიტორებთან სასესხო შეთანხმების პირობების მიხედვით, კომპანია ვალდებულია შეავსოს ვალის მომსახურების რეზერვის ანგარიში უცხოურ ბანკში 15 მილიონ აშშ დოლარამდე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ამ ანგარიშზე შეიტანა 30,178 ათასი ლარი (2023: 24,882 ათასი ლარი) (შენიშვნა 11).

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	საბალანსო დირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	12 თვეზე ნაკლები	1-2 წლამდე	3-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	704,832	1,024,055	40,367	40,104	98,878	844,706
სხვა ვალდებულებები	258	258	258	-	-	-
	705,090	1,024,313	40,625	40,104	98,878	844,706

2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

	საბალანსო ლირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	12 თვეზე ნაკლები	1-2 წლამდე	3-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და კრედიტები	682,031	1,035,780	40,024	40,174	106,083	849,499
სხვა ვალდებულებები	1,086	1,086	981	105	–	–
	683,117	1,036,866	41,005	40,279	106,083	849,499

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები, იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

(v) სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, იმ შესყიდვებთან და საბანკო ნაშთებთან მიმართებაში, რომლებიც კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში არის დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის ლარი.

კომპანია არ დებს წარმოებულ ხელშეკრულებებს სავალუტო რისკზე მისი დაქვემდებარების ჰეჯირების მიზნით.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება	ლარში დენომინირებული	
	2024	2023
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,078	2,137
სავაჭრო მოთხოვნები	4,659	6,492
სხვა აქტივები	389	463
საგადასახადო აქტივი	443	390
სხვა ვალდებულებები	(258)	(58)
	6,311	9,424

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

საშუალო		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
2024 (12 თვე)	2023 (12 თვე)	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
2.7208	2.6278	2.8068	2.6894

მგრძნობელობის ანალიზი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გაუფასურება, ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით შეამცირებდა მოგებას ან ზარალს. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება. გაცვლითი კურსის საპირისპირო 10%-იანი მოძრაობა გამოიწვევდა მოგებაში ან ზარალში იგივე ოდენობით საპირისპირო გავლენას.

'000 ლარი	<u>მოგება ან (ზარალი)</u>
31 დეკემბერი 2024	
აშშ დოლარი (10%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში)	(631)
31 დეკემბერი 2023	
აშშ დოლარი (10%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში)	(942)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, პირველ რიგში, მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. კომპანიამ ჩაატარა მცურავი საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზისო პუნქტით ზრდის/შემცირების ანალიზი, მისი SOFR-თან დაკავშირებული, მცურავი განაკვეთის მქონე ტრანშებთან მიმართებაში:

წელი	ვალუტა	საბაზისო პუნქტით ზრდა/(შემცირება)	წმინდა საპროცენტო ხარჯის ზრდა/(შემცირება)
2024	აშშ დოლარი	100	724
2023	აშშ დოლარი	100	752

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ 31 დეკემბრით დასრულებული 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

	2024	2023
ხელფასები და გასამრჯელოები	1,417	1,467
სხვა მოკლევადიანი სარგებელი	118	172
სულ	1,535	1,639

(b) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	2024	2023
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:		
მშობელ კომპანიაზე საერთო კონტროლის მქონე კომპანიები	1,236	1,091
პირდაპირი მშობელი კომპანია	508	352
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	383
სულ	1,744	1,826

2024 წლის 31 დეკემბრის ან 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, არ არსებობს ნაშთები დაკავშირებული მხარეების მიმართ.

20. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე

21. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

კომპანია თანმიმდევრულად იყენებდა შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

(a) ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;
- მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მისი მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია აშშ დოლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი. კომპანიის წარდგენის ვალუტა არის ლარი (შენიშვნა 3). კომპანიის წარდგენის ვალუტა განსხვავდება მისი სამუშაო ვალუტისგან, რადგან ფინანსური ანგარიშგების ლარში წარდგენა არის კანონით დადგენილი მოთხოვნა საქართველოში.

(d) მოგების გადასახადი

ზოგადად, მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2017 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში 2017 წელს შევიდა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

(e) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ფარგლებში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში და წარმოდგენილია, როგორც ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები საოპერაციო ხარჯების მუხლში.

(iii) ცვეთა

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს.

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- სამოქალაქო ნაგებობები, კაშხლები და გვირაბები - 75 წელი;
- შენობა-ნაგებობები - 50 წელი;
- ელექტრონული და მექანიკური მოწყობილობები - 10- 35 წელი;
- ელექტროგადამცემი ხაზები - 25-45 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი
- საკომუნიკაციო და სხვა საოფისე აღჭურვილობა - 5-10 წელი;
- სხვა 3-10 წელი;

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

(iv) გაუფასურება

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან. კომპანიამ საკუთარი თავი განსაზღვრა როგორც ერთი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული გაუფასურებაზე ტესტირების მიზნებისთვის.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდის შემდეგ დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების ბაზრის მიმდინარე შეფასებას და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(f) შემოსავალი

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 4.

(g) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(h) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი ხარჯების დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში.

(ოდენობები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, „კომპანია“ იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას „კომპანია“ აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(i) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადებამდე არსებული განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(j) კაპიტალი

(i) განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(ii) დამატებით გადახდილი კაპიტალი

მესაკუთრის მიერ განხორციელებული შენატანის იმ ოდენობის სამართლიანი ღირებულება, რომელიც აღემატება კომპანიის საწესდებო კაპიტალის ნომინალურ ოდენობას, რომლისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი მესაკუთრის გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შესაბამის ზრდასთან დაკავშირებით, კლასიფიცირებულია დამატებით გადახდილი კაპიტალის სახით.

(k) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში. შეზღუდული ფულადი სახსრები წარმოდგენილია განცალკევებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

22. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

(a) ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ახალ სტანდარტს შემოაქვს შემდეგი ძირითადი ახალი მოთხოვნები.

- საწარმოებს მოეთხოვებათ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი ხუთ კატეგორიაში გაანაწილონ, კერძოდ, საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, შეწყვეტილი ოპერაციები და მოგების გადასახადის კატეგორიები. საწარმოებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ახლადგანსაზღვრული საოპერაციო მოგების ჯამი. საწარმოების წმინდა მოგება არ შეიცვლება.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლები (MPM) წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ შენიშვნაში.
- მოწოდებულია დეტალური ინსტრუქცია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ.

ამასთანავე, ყველა საწარმოს მოეთხოვება ფულადი ნაკადების ანგარიშგების საწყის წერტილად საოპერაციო მოგების ჯამის გამოყენება, საოპერაციო ფულადი ნაკადების არაპირდაპირი მეთოდით წარდგენისას.

კომპანია ჯერ კიდევ ახალი სტანდარტის გავლენის შეფასების პროცესშია, კერძოდ კომპანიის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლების მიზნებისთვის მოთხოვნილი დამატებითი განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია ასევე აფასებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ხდება ინფორმაციის დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის ამჟამად „სხვა“ კატეგორიაში შეტანილი მუხლებისთვის.

(ბ) აღრიცხვის სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7-ის კორექტირებები).

23. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.



ხელმძღვანელობის ანგარიში

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ხელმძღვანელობა წარმოადგენს მის ხელმძღვანელობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური წლისთვის.

ზოგადი ინფორმაცია

ბიზნეს მიზანი და ძირითადი საქმიანობა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (AGL) არის წამყვანი ენერგეტიკული კომპანია საქართველოში, 187 მეგავატი სიმძლავრის შუახევი ჰესების კასკადის მფლობელი. კასკადი ყოველწლიურად გამოიმუშავებს დაახლოებით 450 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას, რაც შეადგენს ქვეყნის მთლიანი ელექტროენერგიის 4-5%-ს.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, კომპანიის ბიზნეს მოდელი ამჟამად დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზარზე, რომელიც განვითარებად ბაზარს წარმოადგენს და საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას.

კომპანიამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდინარე აჭარისწყალზე და მის შენაკადებზე ჰესების კასკადი შექმნა. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა საქართველოს მთავრობასთან („GoG“) გაფორმებული „მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულების“ („BOO ხელშეკრულება“) მიხედვით. BOO ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიამ იკისრა ვალდებულება განვითარებინა ჰიდროელექტროსადგურის პროექტი მდინარე აჭარისწყალზე არანაკლებ 178 მგვტ დადგმული სიმძლავრით შუახევში და 9 მგვტ დადგმული სიმძლავრით სხალთაში (ერთად მოხსენიებული, როგორც „პროექტი“). თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ კომპანია აჭარისწყლის მდინარის და მისი შენაკადების ჰიდროელექტროსადგურებისთვის გამოყენების ექსკლუზიური უფლებით უზრუნველყო. განახლებული BOO ხელშეკრულების კორექტირება 2019 წლის 13 დეკემბერს გაფორმდა, რომელიც უფლებას აძლევს კომპანიას 15 წლის განმავლობაში გაყიდოს წარმოებული ელექტროენერგია საქართველოში, გარანტირებული სრული ათვისებით და დადგენილი ფასით. განახლებული პირობების მქონე გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება (PPA) შუახევისთვის 2020 წლის 12 მარტს გაფორმდა, სხალთასთვის კი 2021 წლის მარტში. კასკადი გამოიმუშავებს შემოსავალს PPA-ს ფარგლებში, ასევე ყიდის ელექტროენერგიას საექსპორტო ბაზარზე თურქეთში.

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 6,873 ათასი ლარით აღემატებოდა. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, კომპანიამ აღრიცხა 37,204 ათასი ლარის ოდენობით ზარალი (საიდანაც 34,700 ათასი ლარი არაფულადია და წარმოადგენს ზარალს ძირითადი საშუალებების გაუფასურებიდან) და გამოიმუშავა 45,552 ათასი ლარის ოდენობით ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან (საპროცენტო ხარჯის გადახდამდე). 2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ დროულად შეასრულა თავისი ვალდებულებები ძირითადი კრედიტორების მიმართ და შესაბამისობაში იყო შესაბამის ფინანსურ კოვენანტებთან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 წელს დაფიქსირებულმა ხელსაყრელმა ჰიდროლოგიამ, თურქეთში PPA ტარიფებზე მაღალი ფასით განხორციელებულ საექსპორტო გაყიდვებთან ერთად, საშუალება მისცა კომპანიას დაეგროვებინა 33,672 ათასი ლარი მის საბანკო ანგარიშებზე (სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიშის ჩათვლით) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის წმინდა გამომუშავება 8%-ით აღემატებოდა 2024 წლის ბიუჯეტს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდის ლიკვიდურობის პროგნოზების საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ექნება საკმარისი ლიკვიდურობა სასესხო გადახდების და ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯების დასაფარად. შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება უწყვეტი ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

სამართლებრივი სტრუქტურა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ ქართული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და იგი 2011 წლის 8 ივნისს დაარსდა. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404401438.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, ბაგრატიონის ქ. 129, მე-3 სართული.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მთლიანად ეკუთვნის „Adjaristsqali Netherlands B.V.“-ს („ABV“).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „Adjaristsqali Netherlands B.V.“-ს ერთობლივად იყო ფლობილი და კონტროლირებული „Tata Power International PTE Limited (TPIPL)“ -ისა (50%) და „Clean Energy Invest AS“-ის (CEI, „Norsk Mineral AS“-ის (96.7%) შვილობილი კომპანია) - (50%) მიერ (ერთად მოხსენიებული, როგორც "სპონსორები").

კომპანიის კაპიტალის დაფინანსება პროექტისთვის მოდის „TPIPL“-სა და „CEI“-დან, ხოლო ვალის დაფინანსება მოდის ძირითადი კრედიტორებისგან - IFC (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი), EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) და ADB (აზიის განვითარების ბანკი).

თანამშრომლების დაქირავება

კომპანიას მართავს მისი დირექტორთა საბჭო, რომელთა სახელები რეგისტრირებულია კომპანიის ამონაწერში, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

AGL-ს აქვს კლასში სააღრიცხვო კონტროლის ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა. სააღრიცხვო ჩანაწერები ყოველდღიურად არის განახლებული ელექტრონული აღრიცხვის სისტემაში. ხარჯები და გადახდები რეგულირდება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული უფლებამოსილების დელეგირებით. არსებობს მოვალეობების განაწილება ყველა გარიგების (მათ შორის ფულადი გზავნილები ინტერნეტ ბანკინგის პლატფორმების საშუალებით) შემქმნელს, შემმოწმებლს და დამტკიცებელს შორის. წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვა და მზადდება წლიური და შუალედური ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (ID 404401438)

იურიდიული მისამართი: ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N129, ბლოკი "ბ", სართული 3, კომერციული ფართი N8

ელ. ფოსტა: info@agl.com.ge

ვებგვერდი: www.agl.com.ge

შესაბამისი ფუნქციები აღრიცხავს შესყიდვის შეკვეთებს სააღრიცხვო სისტემაში. შესყიდვის სრული პროცესი, ხელშეკრულებები და ინვოისები ინახება სისტემაში. მთავარი ბუღალტერი პასუხისმგებელია საჟურნალო გატარებებზე, ანგარიშების ნაშთების კონტრაგენტებთან შედარებაზე და სხვა მნიშვნელოვან ანგარიშებზე ყოველი თვის ბოლოს. ფინანსური ანგარიშგების სპეციალისტი ამზადებს ყოველთვიურ/კვარტალურ/ნახევარწლიურ და წლიურ საცდელ ბალანსებს და რეპორტებს. ფინანსური დირექტორი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების სპეციალისტის მიერ მომზადებული საცდელი ბალანსის და ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებული შუალედური/წლიური ფინანსური ანგარიშგების ზოგად მიმოხილვაზე. შუალედური/წლიური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად აღმასრულებელი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ.

ფინანსური ინფორმაცია

აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფას“-ები) სრულ შესაბამისობაში.

ბალანსის მოძრაობის შეჯამება და გაუფასურების შეფასება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ კომპანიის არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე დაბალია.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ გაანალიზა როგორც გარე, ასევე შიდა გაუფასურების მაჩვენებლები ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“-ს მიხედვით და დაასკვნა, რომ არსებობს გაუფასურების მინიშნება გაზრდილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამო. ასევე სახეზეა საექსპორტო გაყიდვებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოღინებების შემცირებას, რასაც ადასტურებს შეფასების თარიღისთვის ბაზარზე არსებული პირობები.

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ, ხელმძღვანელობამ ხელახლა შეაფასა მისი ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულებების შეფასებები და დაადგინა, რომ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 652,196 ათასი ლარი მის ანაზღაურებად ღირებულებას, 617,496 ათას ლარს, აღემატება. შედეგად, აღიარდა 34,700 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი მოგებაში- ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ დისკონტირების განაკვეთი და საექსპორტო გაყიდვების მოცულობა წარმოადგენს ძირითად დაშვებებს, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ გამოყენებითი ღირებულების შეფასებაზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- ▶ საექსპორტო გაყიდვების პროგნოზირებული მოცულობის 50%-ით შემცირება შეამცირებდა ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად ღირებულებას 1,1%-ით (6,950 ათასი ლარი), გაუფასურების ზარალის შესაბამისი ზრდით 2024 წლისთვის.
- ▶ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის 1%-იანი ზრდა შეამცირებდა ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად ღირებულებას 12%-ით (73,167 ათასი ლარი), გაუფასურების ზარალის შესაბამისი ზრდით 2024 წლისთვის.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ უწყვეტი/საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო 74,619 ათასი ლარის ოდენობით შემოსავალი.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (ID 404401438)

იურიდიული მისამართი: ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N129, ბლოკი “ბ”, სართული 3, კომერციული ფართი N8

ელ. ფოსტა: info@agl.com.ge

ვებგვერდი: www.agl.com.ge

ფინანსური მდგომარეობა

კომპანია ფინანსდება აქციონერების კაპიტალის შენატანებით და შემდეგი საფინანსო დაწესებულებებისგან აღებული სესხებით: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკი (ADB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC).

აჭარისწყალი ჯორჯიამ დაიწყო ფულადი სახსრების გამომუშავება საოპერაციო საქმიანობიდან მას შემდეგ, რაც ჰესმა დაიწყო ფუნქციონირება 2020 წელს. კომპანია აკეთებს პროგნოზებს ფულადი ნაკადების გადინებებისთვის, სავარაუდო ფინანსური საჭიროებების საფუძველზე, რომლებიც დაგეგმილი განვითარების სამუშაოებით განისაზღვრება.

კომპანიის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ბალანსის თარიღისთვის, კომპანიამ წარადგინა შემდეგი კოეფიციენტები:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	-5.87%	-0.35%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.66	1.97

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი გამოითვლება აქციონერთა კაპიტალის, აქციონერთა კაპიტალის და ვალდებულებების მთლიან ოდენობაზე გაყოფით. ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოითვლება მოკლევადიანი აქტივების მოკლევადიან ვალდებულებებზე გაყოფით.

ფულადი ნაკადები და დაფინანსების მოთხოვნა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, როგორც წარმოდგენილია ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის კანონით დადგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიამ აღრიცხა 567,419 ათასი ლარის ოდენობით დაგროვილი ზარალები (2023 წლის 31 დეკემბერი: 530,216 ათასი ლარი). ამ პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა გაცემული დივიდენდები ან აქციონერთა სესხები.

მნიშვნელოვანი რისკები და განუსაზღვრელობები

2017 წლის სექტემბრიდან კომპანიას დანერგილი აქვს რისკების მართვის სტრუქტურა, რომელიც გამოიყენებოდა პროექტთან დაკავშირებული რისკების უმეტესობის გამოვლენისთვის. კომპანიასთან დაკავშირებული რისკებიდან გამოვლინდა ათი ძირითადი რისკი, რომელიც უნდა იქნეს განხილული დირექტორთა საბჭოს მიერ ყველა სხდომაზე. გარდა ამისა, კომპანიამ დანერგა შესაბამისობის მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც აღრიცხავს მის მარეგულირებელ, სასესხო და სახელშეკრულებო ვალდებულებების უმეტესობას, შეუსაბამობის პოტენციური რისკების აღმოსაფხვრელად. შეუსაბამობის შემთხვევები და მათი შემცირების და გადაწყვეტის გეგმები განიხილება აუდიტის კომიტეტის და დირექტორთა საბჭოს მიერ.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (ID 404401438)

იურიდიული მისამართი: ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N129, ბლოკი “ზ”, სართული 3, კომერციული ფართი N8

ელ. ფოსტა: info@agl.com.ge

ვებგვერდი: www.agl.com.ge

სტრატეგია

კომპანიის ერთადერთი ინვესტიცია აღნიშნული პროექტია. პროექტი გამოიმუშავებს შემოსავალს საქართველოს ელექტროენერგიის ბაზარზე ელექტროენერგიის გაყიდვიდან. 2022 წლის მაისიდან, კომპანიამ დაიწყო ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში და ელექტროენერგიის ადგილობრივად, პირდაპირი გაყიდვის ხელშეკრულებების საშუალებით გაყიდვა. ამ ეტაპზე მთავარი რისკი ჰიდროლოგიის საკითხებს უკავშირდება, რადგან ისინი დაკავშირებულია გამოიმუშავების ოდენობებთან და ელექტროენერგიის გაყიდვებთან. 2024 წელს, ელექტროენერგიის გამოიმუშავებამ ბიუჯეტთან შედარებით 108% (2023: 115%) შეადგინა, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. შედეგად, კომპანიამ შეასრულა თავისი გადახდის ვალდებულებები ძირითადი კრედიტორების მიმართ და შესაბამისობაში იყო ყველა ფინანსურ კოვენანტთან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბაზარი

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. 2022 წლის მაისში, კომპანიამ პირველად გაყიდა ელექტროენერგია ექსპორტზე, რის შედეგადაც მოხდა უფრო მეტი შემოსავლის გამოიმუშავება, ვიდრე PPA ხელშეკრულების ფარგლებში გაყიდვის შემთხვევაში.

საოპერაციო

კომპანია უკვე 5 წელია საქმიანობს, შესაბამისად, საოპერაციო რისკები ამ ეტაპზე ძირითადად ზემოთ განხილულ ჰიდროლოგიურ საკითხებს უკავშირდება. ზემოაღნიშნული რისკის გარდა, კომპანია ასევე ექვემდებარება საოპერაციო რისკებს, რომლებიც გამოწვეულია მომწოდებლის რისკებით, IT რისკებით და ბიზნეს და სამუშაო პროცესებთან (რომლებიც შემოიფარგლება სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული სფეროებით) დაკავშირებული რისკებით. მხოლოდ სანდო და კარგად ცნობილ მომწოდებლებთან თანამშრომლობით, ძლიერი IT გარემოს ჩამოყალიბებითა და შენარჩუნებით, შიდა სამუშაო პროცესების მიმოხილვითა და განვითარებით, დირექტორებს მიაჩნიათ, რომ ზემოაღნიშნული რისკები მისაღებ დონემდე არის შემცირებული.

საფინანსო

კომპანიის პოლიტიკა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით არის ისეთი ფინანსური რისკების თავიდან აცილება, როგორებიცაა საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიას არ გააჩნია წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტები შედგება მხოლოდ ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისგან, როგორიცაა სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, სხვა ვალდებულებები და სესხები. ფინანსური რისკები მოიცავს საბაზრო რისკებს (უცხოური ვალუტის გაცვლის რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და ფასის რისკი) და/ან საკრედიტო რისკებს. კომპანია ექვემდებარება სავალუტო ბაზრებზე მომხდარ ცვლილებებს და საქონლის ფასებისა და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებს.

აჭარისწყალი ჯორჯიამ მოიპოვა პროექტის განსახორციელებლად საჭირო მთლიანი დაფინანსება მისი აქციონერების მიერ განხორციელებული შენატანების და საერთაშორისო კრედიტორებისგან (IFC, EBRD და ADB) მიღებული გარე სესხების საშუალებით. სესხების უკანასკნელი გატანა 2017 წლის 6 თებერვალს დასრულდა.

სავალუტო რისკი

კომპანიის წარსადგენი ვალუტა განსხვავდება მისი სამუშაო ვალუტისგან. კომპანია მიიჩნევს, რომ ქართული ლარის წარსადგენ ვალუტად გამოყენება მიღებულია ქართულ საწარმოებში და შესაბამისად, ის უზრუნველყოფს მეტად შესაბამის და შესაფერის ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, იმ შესყიდვებთან და საბანკო ნაშთებთან მიმართებაში, რომლებიც კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში არის დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის ლარი და ევრო.

კომპანია არ დებს წარმოებულ ხელშეკრულებებს სავალუტო რისკზე მისი დაქვემდებარების ჰეჯირების მიზნით.

კანონები და რეგულაციები

კომპანია საქართველოს კანონებსა და რეგულაციებს ექვემდებარება. ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ ის შესაბამისობაშია ყველა მოქმედ კანონსა და რეგულაციასთან. ხელმძღვანელობა ასევე ადასტურებს, რომ კომპანია აკმაყოფილებს AGL-სა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული BOO ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ბიზნეს სფერო, რომელშიც კომპანია ოპერირებს, ბუნებრივად ექვემდებარება გარკვეულ სამართლებრივ რისკებს, საგადასახადო რისკს და სამთავრობო ორგანოების წინაშე ანგარიშგების ან სხვა გარე ანგარიშგებასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენი პოლიტიკაა - განვახორციელოთ ინვესტიციები ჩვენი პერსონალის ცოდნასა და გამოცდილებაში. გარდა ამისა, ჩვენ ვიწვევთ პროფესიონალ ექსპერტებს (მაგ. საგადასახადო, შეფასების და იურიდიული მრჩეველები), რომლებიც მარეგულირებელი რისკების იდენტიფიცირებასა და შემსუბუქებაში გვეხმარებიან.

გარემოსთან და პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაცია

კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოებასთან და გარემოსთან და უზრუნველყოფს, რომ გარემოს ნებისმიერი ზარალი ან დაზიანება სათანადოდ იყოს მოგვარებული ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად. AGL იცავს საქართველოს მოქმედ გარემოსდაცვით რეგულაციებს, ასევე კრედიტორების გარემოსდაცვით და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზომებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყო 44 ადამიანი, აქედან 35 მამაკაცი და 9 ქალი. კომპანიამ შეიმუშავა პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და გადაეცემა ყველა თანამშრომელს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

პოლიტიკა მოიცავს სახელმძღვანელო მითითებებს, პროცედურებსა და უფლებებს, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომელს ჰქონდეს ინფორმაცია კომპანიის პროცედურების შესახებ, რა შემთხვევებში რა ქმედება უნდა განხორციელდეს და ყოველდღიური საქმიანობის სწორად, გამჭვირვალედ და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე წარმართვის უზრუნველსაყოფად.

AGL არ განასხვავებს რასის, კანის ფერის, რელიგიის (რწმენის), სქესის, გენდერული გამოხატვის, ასაკის, ეროვნული წარმომავლობის (წარმომავლობის), ინვალიდობის, ოჯახური მდგომარეობის ან სექსუალური ორიენტაციის სტატუსის მიხედვით.

AGL არის მულტიკულტურული კომპანია და მისი მიზანია უზრუნველყოს ინკლუზიური და სტუმართმოყვარე გარემო პერსონალის ყველა წევრისთვის.

კვლევისა და განვითარების შესახებ ინფორმაცია

კვლევისა და განვითარების საქმიანობა წლის განმავლობაში არ განხორციელებულა (2023: არ განხორციელებულა).

ბიზნესის წარმოების სოციალ ასპექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია

კომპანიაში მიღებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, ასევე ხორციელდება მრავალი სოციალური ინფრასტრუქტურის პროექტი საზოგადოების განვითარებისა და საარსებო წყაროების აღდგენის მიზნით. მოქმედებს სანდო საჩივრების წარდგენის მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს გააგზავნონ თავიანთი გამოხმაურება ელ. ფოსტის ან ფოსტის საშუალებით. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი საზოგადოებრივი აზრი, საჩივარი ან გამოხმაურება სათანადოდ იყოს დოკუმენტირებული, განხილული და გადაჭრილი.

სხვა ინფორმაცია

უფლებამოსილების დელეგირება და მუშაობის პროცესი

კომპანიას არ აწარმოებს მარკეტინგთან, დისტრიბუციასთან და ინოვაციებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

კომპანიას მისი მმართველი დირექტორი მართავს. ხარჯების დამტკიცება და საბანკო გადახდების ავტორიზაცია ხორციელდება დამტკიცებული დადგენილებების საშუალებით. კომპანიის წესდება კორპორატიულ მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს განაგებს. AGL ახორციელებს მის საქმიანობას მმართველი გუნდის საშუალებით, რომელშიც შედიან ბ-ნი სატიშ ბჰატი, აღმასრულებელი დირექტორი, ქ-ნი ეკატერინე დანელია, ფინანსური დირექტორი, ქ-ნი ნინო დადუნაშვილი, კომერციული დირექტორი.

ქცევის კოდექსის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

კომპანია ხელმძღვანელობს „თანამშრომელთა სახელმძღვანელოთი“, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული ქცევის კოდექსების დაცვის შესახებ.

შემადგენლობასთან დაკავშირებით დამატებითი განხილვები ტარდება რეგულარულად და საჭიროების შემთხვევაში, შეტანილია ცვლილებები დირექტორების ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონიათ.

მომავალი განვითარება

ინვესტიციები, დაფინანსება, კვლევა და განვითარება

კომპანია არ გეგმავს დამატებითი ინვესტიციების ან სამშენებლო პროექტების განხორციელებას, დამატებითი რესურსების განაწილებას მომავალში და არ გეგმავს რაიმე კვლევისა და განვითარების საქმიანობის წარმოებას მომავალში.

ხელმძღვანელობის ანგარიში ხელმოწერილია 2025 წლის 28 მარტს.

სატიშ ბჰატ
აღმასრულებელი დირექტორი

ეკატერინე დანელია
ფინანსური დირექტორი

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონიათ.

მომავალი განვითარება


ინვესტიციები, დაფინანსება, კვლევა და განვითარება

კომპანია არ გეგმავს დამატებითი ინვესტიციების ან სამშენებლო პროექტების განხორციელებას, დამატებითი რესურსების განაწილებას მომავალში და არ გეგმავს რაიმე კვლევისა და განვითარების საქმიანობის წარმოებას მომავალში.

ხელმძღვანელობის ანგარიში ხელმოწერილია 2025 წლის 28 მარტს.



სატიშ ბჰატ
აღმასრულებელი დირექტორი



ეკატერინე დანელია
ფინანსური დირექტორი